ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4327986

ნომერი: AR1649532

თარიღი : 11.12.2018

გაცემის თარიღი : 03.01.2019

გაცნობის თარიღი : 03.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N15.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11 დეკემბერს №AR1649532 განცხადებით მომართა ირაკლი ჩირაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 02

ნოემბრის №3655028 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზ. N15-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.14.010.030) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საოფისე, სასტუმრო, საცხოვრებელი) ბლოკი B, C, E, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 02 ნოემბრიდან 2018 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის № 4210684 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 12 ოქტომბრიდან 2019 წლის 12 აპრილის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებით შეთანხმებული გეგმის ჩანაცვლებას, კერძოდ, იგი განმარტავს, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიწისპირა სართულის (+0.00 ნიშნულზე) გეგმაზე გამორჩენილია კომერციული სივრცის საზაფხულო ფართობი და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს +0.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას 2018 წლის 11 დეკემბრის №AR1649532 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში, კერძოდ: აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2018 წლის 11 დეკემბერს №AR1649532 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.